საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კობახიძე ვასილ (ვასო)

ვ. კობახიძე

კობახიძე ვასილ (ვასო) (1893–1976), მომღერალი, ლოტბარი, მოცეკვავე, ხელოვნების დამს. მოღვაწე (1966). ცხრამეტი წლიდან მღეროდა თავდაპირველად მ. კავსაძის, შემდეგ კი – მ. თარხნიშვილის გუნდში. 1927 ჩამოაყალიბა რაჭა-ლეჩხუმის ეთნოგრ. გუნდი, რ-იც წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე და რეპერტუარის ორიგინალობისა და საფერხულო სიმღერების დახვეწილი შესრულების გამო არაერთი ჯილდო დაიმსახურა. ხანგრძლივად მოღვაწეობდა რუსთავში, სადაც ხელმძღვანელობდა მეტალურგიული ქ-ნის მომღერალთა გუნდს.

ლიტ.: გ ე გ ე ჭ კ ო რ ი ლ., ხალხური სიმღერის მოამაგენი, თბ., 2007.